წერილის ნომერი:3/25409831
თარიღი: 04/02/2025

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 01

დ. ლენტეხი 4. 02. 2025 წ.

2025 წლის 4 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები: გიორგი გაზდელიანი, დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, ზურაბ ონიანი, მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო

დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის რაიონში მცხოვრებ დემური მუსელიანის განცხადება**
2. **სოფ. ჭველიერში მცხოვრებ გია მუკბანიანის განცხადება**

/ მომხ. მ. ლიპარტელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.**

/ მომხ. მ. ლიპარტელიანი/

მოისმინეს: კომისიის წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კომისიას დაეწერა ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დემური მუსელიანის განცხადება. განცხადების თანახმად მოქალაქე ითხოვს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე გამავალ საკანალიზაციო ჭების შემოწმებას და მოწესრიგებას, კერძოდ, სახურავებით დახურვას. უმეტეს შემთხვევაში ეს ჭები გაჭედილია და იქმნება ანტისანიტარია.

მოისმინეს: მომხსენებელმა მ. ლიპარტელიანმა კომისიის სხდომის წევრებს გააცნო სოფ. ჭველიერში მცხოვრებ მოქალაქე გია მუკბანიანის განცხადება. განცხადების თანახმად მოქალაქე გია მუკბანიანი ითხოვს შუამდგომლობას მერიასთან და შესაბამის ორგანოებთან ;მისი საცხოვრებელი სახლი არის ავარიული, კედლებში შემოდის წვიმის წყალი, ძლიერი წვიმის დროს სახლი შეიძლება დაინგრეს და მოხდეს უბედური შემთხვევა, სახლს ესაჭიროება რკინა-ბეტონით გამაგრება. გეოლოგიური დასკვნა აქვს.

აზრი გამოთქვა: ირაკლი ქურასბედიანმა - ორივე განცხადება არის საგულისხმო და დროულად უნდა მოხდეს რეაგირება.

განცხადებებთან დაკავშირებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება; შემდგომი რეაგირების მიზნით განცხადებების განხილვა გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

მოისმინეს: მომხსენებელმა მ. ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ბაზრობების წესის დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტში მუხლობრივად განხილული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური, თუ იურიდიული პირის, ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში, ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ან შენობა-ნაგებობებში გარე ვაჭრობის და ბაზრობების ადგილის განსაზღვრის. გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის განთავსებისა და ტერიტორიის მოწყობის წესების რეგულაციები.

განისაზღვრა: გარე ვაჭრობის და ბაზრობების რეგულირების სფერო და ადგილები;